ოქმი:**ო31.31203253**
თარიღი:**20/11/2020**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნება–მწვანეების“

სხდომის ოქმი №4

ქ.ლანჩხუთი 20.11.2020წელი

15:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე.

ფრაქციის წევრები: ემზარ თევდორაძე, ოთარ პატიეშვილი.

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ზაზა წულაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ზაზა წულაძე/

3. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარე ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარე ზაზა წულაძემ. განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა ფრაქციის წევრების მიერ.

პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე .

ფრაქციის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 11,850.4 ლარით.

ფრაქციის წევრების მიერ 2021 წლის ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი სახის შენიშვნები: კერძოდ;

1.სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამაში დაემატოს, როგორც ოპერაციების, ასევე ყველა სახის კვლევების დაფინანსება, რადგან კვლევები არ ფინანსდება სახელმწიფოს პროგრამების მიერ.

2.მედიკამენტების გაცემა მოხდეს, როგორც ონკოლოგიურ, ასევე გულით დაავადებულ ყველა კატეგორიის ბენეფიციარზე.

3.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში მოხდეს მე-13 ხელფასის გათვალისწინება.

4.საკრებულოს თანამდებობის პირებისა და თანამშრომლების ხელფასების მოწესრიგება.

5.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე სამუშაო ოთახების მოწესრიგება და კონდიციონერების შეძენა.

6.საკრებულოს თანამდებობის პირებსა და თანამშრომლების საოფისე ტექნიკით (კომპიუტერით) უზრუნველყოფა.

პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

ფრაქციის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:
მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

3. სხვადასხვა:

ფრაქციის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ აღნიშნა, რომ რუსიკო ორმოცაძის უბანში მოსაბეტონებელია 500 გრ.მ. გზა.

ფრაქციის წევრმა ოთარ პატიეშვილმა აღნიშნა, რომ მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში საყანე ფართობებთან მისასვლელი ხიდი საჭიროებს გადაუდებელ რეაბილიტაციას, ვინაიდან მიმდინარეობს კარიერული სამუშაოები და უახლოეს მომავალში მამათის მაცხოვრებლები ვეღარ შეძლებენ მდინარეზე გადასვლას.

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.

ზაზა წულაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული
ხელმოწერა/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
„ქართული ოცნება - მწვანეების“ ფრაქციის წევრები
სარეგისტრაციო ფურცელი

20.11.2020 წელი 15:00 საათი

სახელი, გვარი	დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ზაზა წულაძე	14 30	
2. ემზარ თევდორაძე	14 45	
3. ოთარ პატიეშვილი	14 50	